კავშირი დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების წარუმატებლობის შიშს, აკადემიურ მოტივაციასა და აკადემიურ მოსწრებასშორის

მარიამ ვარდოსანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი, ასოცირებული პროფესორი, PHD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამვარდოსანიძე, 15.01.2023

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს იკვლიოს კავშირი წარუმატებლობის შიშის, აკადემიური მოტივაციისა და აკადემიურ მოსწრებას შორის. უფრო კონკრეტულად, რა კავშირია დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების წარუმატებლობის შიშს, აკადემიურ მოტივაციასა და აკადემიურ მოსწრებას შორის. არის თუ არა წარუმატებლობის შიში და აკადემიური მოტივაცია აკადემიური მოსწრების პრედიქტორი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 150- მა მოსწავლემ. აკადემიური მოტივაციის ქულის საკვლევად გამოყენებული იქნა აკადემიური მოტივაციის სკალა -ACADEMIC MOTIVATION SCALE (AMS-C 28), ხოლო წარუმატებლობის შიშის ზოგადი ქულის დასადგენად გამოყენებული იქნა წარუმატებლობის შიშის სკალის გრძელი ვერსია -The Performance Failure Appraisal Inventory (Long-Form). რაც შეეხება აკადემიური მოსწრებას მისი შეფასება მოხდა მოსწავლეების საშუალო ქულით.

კვლევაში პირსონის კორელაციის კოეფიციენტმა გვაჩვენა, რომ 150 ცდის პირისგან შემდგარ შერჩევაში აკადემიურ მოსწრებასა და გარეგან აკადემიურ მოტივაციას შორის არის სუსტი დადებითი კორელაცია, მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებასა და შინაგან მოტივაციას შორის არის საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია($r(150)=.264$, $p=.264$), აკადემოური მოსწრება და წარუმატებლობის შიში ერთმანეთთან უარყოფით უმნიშვნელო კავშირშია ($r=-.043$), წარუმატებლობის შიშსა და შინაგან მოტივაციას შორის დადგინდა უარყოფითი კორელაცია. რაც შეხება რეგრესიულ ანალიზს გამოვლინდა, რომ წარუმატებლობის შიშს აქვს უარყოფითი ეფექტი შინაგან აკადემიურ მოტივაციაზე. რეგრესიულმა ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ შინაგანი აკადემიური მოტივაცია დადებითი პრედიქტორია აკადემიური მოსწრების.

საკვანძო სიტყვები: წარუმატებლობის შიში, აკადემიური მოტივაცია, აკადემიური მოსწრება, მოზარდები.

Abstract

This study aims to investigate the relationship between fear of failure, academic motivation and academic performance. More specifically, what is the relationship between fear of failure, academic motivation, and academic performance in high school students. Are fear of failure and academic motivation a predictor of academic performance. 150 students participated in the research. Academic motivation scale -ACADEMIC MOTIVATION SCALE (AMS-C 28) was used to study the academic motivation score, and the long version of the fear of failure scale -The Performance Failure Appraisal Inventory (Long-Form) was used to determine the general fear of failure score. As for the academic performance, it was evaluated by the average score of the students.

In the study, the Pearson correlation coefficient showed that there is a weak positive correlation between academic performance and external academic motivation in a sample of 150 students, there is a positive correlation of medium strength between academic performance and internal motivation of students ($r(150)=.264$, $p=.264$) , academic achievement and fear of failure have a negative and insignificant relationship with each other ($r=-.043$), a negative correlation was established between fear of failure and internal motivation. Regression analysis revealed that fear of failure has a negative effect on intrinsic academic motivation. Regression analysis also showed that intrinsic academic motivation is a positive predictor of academic achievement.

Key words: fear of failure, academic motivation, academic performance, adolescents.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ მაია წერეთელს, იმისთვის, რომ ძალ-ღონე არ დაიშურა სამაგისტრო ნაშრომის ამ კონდიციაში მოსაყვანად. გამომიცხადა სრული მხარდაჭერა, მაძლევდა რელევანტურ რჩევებსა და კრიტიკულ მოსაზრებებს, რომელიც იმ თეორიული მიგნებების საფუძველი გახდა, რომლის გარეშეც ეს ნაშრომი ვერ შეიქმნებოდა.

მარიამ ვარდოსანიძე